1972/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (381)

1972 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (381) ოქტომბერი 1972 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ე. თოფურიძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. შევარდნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ლენინის რაიონის ლიკანის № 8 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევის შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

204. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამზედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამზედველობის კომიტეტის) თავმჯდომარის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

205. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

206. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

√ 207. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ.

208. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

209. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

210. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო საზღვრის სარედმარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. ყარყარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. თ. შეწირულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ე. ჩიბურდანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ა. მეჩიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ყაჟიურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. ეპიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ძ. სიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ხარიტონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

197 ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაბაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 ამხ. მ. ე. თოფურიძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ ესტატეს ძე **თოფურიძე** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაბაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ამხ. ი. ა. შევარდნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. იპოკრატე ამბროსის ძე **შევარდნაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 ქ. თბილისის ლენინის რაიონის ლიკანის № 8 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დანიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატისა, ქ. თბილისის ლენინის რაიონის ლიკანის № 8 საარჩევნო ოლქში კვირას, 1972 წლის 19 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

202 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის რაიონის ლიკანის № 8 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის ლენინის რაიონის ლიკანის № 8 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენელთა შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

მურმან პლატონის ძე **ნიკოლაიშვილი** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ლეილა ლენტორის ასული **დვალი** — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის № 23 პროფტექნიკური სასწავლებლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი

ქეთევან დომენტის ასული **ლეჟავა** — თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ვარლამ ლეონტის ძე **ჩხიკვაძე** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ეთერი პეტრეს ასული **თოფურიძე** — საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ციური მიხეილის ასული **როსტიაშვილი** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია შალვას ძე **კორკოტაშვილი** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლიანა ვასილის ასული **კიკნაძე** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ილია ალექსანდრეს ძე **ლომიძე** — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოზეწნიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

203 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1972 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1972 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოზეწნიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 12 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

204 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარე შეყვანილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.
№ 394-VIII

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

205 ამხ. ა. ბ. გამხარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ანატოლი გიორგის ძე **გამხარაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

206 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ბერიძის მოხსენება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანს-პორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი მნიშვნელობისა ავტომობილო გზების მშენებლობის, შეკეთებისა და მოვლის საქმე, რამაც გაზაპირობა გეგმების ყოველწლიურად გადაჭარბებით შესრულება.

გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოები, მათი საგზაო უბნები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილი მუდმივი საგზაო ბრიგადები, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების მუდმივი მექანიზებული რაზმები. დიდი ყურადღება ექცევა გზების შეკეთებაში როგორც სავალდებულო შრომით მონაწილეობას, ასევე ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად და გეგმიურად გამოყენებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა რეგულარულად იხილავს საგზაო სამუშაოების გეგმის შესრულების საკითხს და სახავს საჭირო ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმა, მთლიანად რესპუბლიკაში, სექტემბრისათვის შესრულებული იყო 71,6 პროცენტით. გზების მშენებლობის გეგმების შესრულებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ: გარდაბნის რაიონს — 115 პროცენტი, გორის რაიონს — 129 პროცენტი, მარნეულის რაიონს — 107 პროცენტი, ონის რაიონს — 101 პროცენტი. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე დმანისის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, ლანჩხუთის და აფხაზეთის ასსრ რაიონებს.

ამასთან ერთად საგზაო მშენებლობა და გზების მოვლა-პატრონობა რესპუბლიკის რიგ რაიონში ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით. მაგალითად: 1972 წლის გეგმის შესრულებაში დიდი ჩამორჩენა აქვთ თიანეთის (24 პროცენტი), მცხეთის (27 პროცენტი), თეთრი წყაროს (42 პროცენტი), მესტიის (43 პროცენტი), თერჯოლის (40 პროცენტი), კასპის (41 პროცენტი) და სხვა რაიონებს.

ზოგიერთ რაიონში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას (ყვარლის, გურჯაანის რაიონები).

ამბროლაურის, ონის, ორჯონიკიძის, ყვარლის რაიაღმასკომებმა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა წარმოება-დაწესებულებებს დიდი დაგვიანებით მისცეს 1972 წლის საწარმოო გეგმა-დავალება. ადგილი აქვს საწარმოო გეგმების არასწორად გაანგარიშების შემთხვევებსაც. მაგალითად, ყვარლის რაიონში ავტოსატრანსპორტო კანტორას გეგმა-დავალება თვითეულ სატვირთო მანქანაზე წელიწადში მისცეს 6 დღიური ნორმის მოცულობით, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალად ბრძანებულებით გათვალისწინებული დღიური ნორმისა, საწარმოო გეგმა-დავალება არასწორად გაიანგარიშეს გარდაბნის რაიონშიც.

არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუდმივი საგზაო ბრიგადები, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მუდმივი მექანიზებული რაზმები დანიშნულებისამებრ არ არიან გამოყენებული. ამის გამო საგზაო სამუშაოების გეგმები ხშირად შეუსრულებელი რჩება. რიგ რაიონში არ სრულდება აგრეთვე საგზაო სამუშაოებში შრომითი მონაწილეობის გეგმა.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს და საგარეჯოს რაიონის იორის საბჭოთა მეურნეობას გასულ წლებში არ შეუსრულებიათ საგზაო სამუშაოების გეგმები.

1971 წელს ქობულეთის რაიონის 15 კოლმეურნეობას 9.481 მანეთი გადაახდევინეს შეუსრულებელი სამუშაოებისათვის, მაგრამ ამ კოლმეურნეობებს ხელმძღვანელთა მიმართ არ გაუტარებიათ არავითარი ქმედითი ღონისძიება.

ადგილი აქვს საგზაო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვას. ზოგჯერ ამ თანხებს იყენებენ რაიონის ცენტრებისა და ქუჩების კეთილმოწყობისათვის.

შემოწმებით დადასტურდა, რომ რიგი რაიონული საბჭოს აღმასკომი ნაკლებად სწავლობს საგზაო სამუშაოების მიმდინარეობის და საწარმოო-საგზაო უბნის მუშაობის საკითხებს, არ ღებულობს სათანადო ზომებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების დამრღვევთა მიმართ; ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას საწარმოო-საგზაო უბნის საწარმოო ბაზის განვითარების და მისი სატრანსპორტო საშუალებებით, საგზაო სამშენებლო მექანიზმების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარება, რისთვისაც:

ა) სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ ადგილობრივი მნიშვნელობის სააეტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების გეგმათა შესრულების და მათი მოვლა-პატრონობის საკითხები და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობა;

ბ) გააძლიერონ ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი გზების შესაკეთებლად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ხარისხისადმი;

გ) მტკიცედ დაიცვან საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმის შედგენისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მათი დაშვების ვადები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ და ბრძანებულებით გათვალისწინებული სანქციები გამოიყენონ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საგზაო მშენებლობას;

ე) საგზაო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები გამოიყენონ მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გაძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი საწარმოო-საგზაო უბნებისადმი, დაეხმაროს მათ გზების მშენებლობისა და შეკეთებისათვის საჭირო მექანიზმებით უზრუნველყოფაში, პერიოდულად შეისწავლოს და კოლეგიის სხდომებზე განიხილოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, შეკეთებისა და მოვლა-პატრონობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სამუშაოს შესრულების ხარისხს და დასახოს საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 19 ოქტომბერი.

207 დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალები რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, განათლების ორგანოებთან ერთად, დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა საშუალო სკოლადამთავრებულთა რიცხვი, გაუმჯობესდა სკოლების შეესება მასწავლებელთა კადრებით, განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზა.

გასულ 1971-72 სასწავლო წელს რვა კლასის განათლება მიიღო 90 ათასზე მეტმა მოსწავლემ, ანუ იმ ახალგაზრდათა 93,0 პროცენტმა, რომლებიც რვა წლის წინათ შევიდნენ სკოლაში; საშუალო განათლება მიიღო 65 ათასზე მეტმა, ანუ იმ ბავშვების 70 პროცენტმა, რომლებიც 1962-63 სასწავლო წელს შევიდნენ პირველ კლასში. შემცირდა სკოლებიდან უმიზეზოდ განთავისუფლების შემთხვევები. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ მიღებული ზო-

ჰების შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებს დაუბრუნდა 334 მოსწავლე.

გაიზარდა მოსწავლეთა მიღება საშუალო სკოლების მე-9 კლასში, ტექნიკუმებსა და იმ პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც საშუალო განათლებას იძლევიან.

1971-72 სასწავლო წელს რვაკლასდამთავრებულთაგან მე-9 კლასში სწავლას აგრძელებს 83.8 პროცენტი.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით 1972-73 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა ეასწავლა 979,1 ათას მოსწავლეს, ფაქტიურად სწავლობს 979.117. გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სწავლების სკოლებში გეგმით უნდა სწავლობდეს 48.099 მოზარდი, ფაქტიურად სწავლობს 48.199, ანუ გეგმა შესრულდა 100,2 პროცენტით.

გადიდდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა 69 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს უფრო სრულყოფილი ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. უკანასკნელი 4 წლის (1969-72 წ. წ.) სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა თანხებით სასკოლო შენობები აშენდა 98000 მოსწავლისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანია. ხშირია მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის შემთხვევები. 1972 წელს სწავლა მიატოვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა 2,4 პროცენტმა და საღამოს სკოლის მოსწავლეთა 23,9 პროცენტმა. ამ ნახრიდ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ახალქალქის, ონის, მესტიის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ყვარლის, ბოგდანოვკის რაიონებში.

ჯერ კიდევ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი. 1972 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იგი შეადგენდა 25.490 (2,6%), ხოლო საღამოს სკოლებში 28 ათას (5%) მოსწავლეს.

ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა არ შეუსრულებიათ ახალციხის, ამბროლაურის, გურჯაანის, ონის, ორჯონიკიძის, თეთრი წყაროს რაიონებს, ხოლო ყაზბეგის, კასპის ყვარლის, გორის, აბაშის, ლანჩხუთის, სამტრედიის რაიონებში რვაკლასდამთავრებულთა მხოლოდ 60-70 პროცენტი აგრძელებს სწავლას საშუალო განათლების მისაღებად.

ჯერ კიდევ სუსტია ზოგიერთი სკოლის მატერიალური ბაზა. 380-ზე მეტი შენობა მთლიანად ამორტიზებულია და ავარიულ მდგომარეობაშია, 460 სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში.

ზოგან სრულყოფილად არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება შორს მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უფასოდ სკოლაში მიყვანის და სახლში წაყვანის შესახებ. სასკოლო-ინტერნატების არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამ მიზეზით სოფლის სკოლების მოსწავლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 პროცენტი სკოლაში ფეხით დიდ მანძილზე დადის, ან კერძო, დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. სასკოლო-ინტერნატების უმრავლესობაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ბავშვთა ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის.

სკოლების გარკვეული რაოდენობა, განსაკუთრებით სოფლად, უზრუნველყოფილი არ არის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ნელი ტემპით ამუშავებს მოსწავლეთა განათლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის პრობლემებს.

უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა კადრების მოამზადება არასაკმარისად არის დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამედროვე მოთხოვნებთან.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებას. ამ საქმეში ნაკლებად იყენებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების დიდი შესაძლებლობებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერაა, საკომლო და საბინაო დავთრებში არაბუული ჩანაწერების შედარებას სწავლებაში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავლეთა სიებთან.

ბოგდანოვკის, ახალქალაქის, სიღნაღის, ახალციხის, კასპის, ოჩამჩირის, ონის რაიონებში არ სრულდება მთავრობის დადგენილება მასწავლებელთა უფასო კომუნალური (ბინა, გათბობა, განათება) მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ. ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მასწავლებლებისათვის სახლების მშენებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დიდი მუშაობა გასწიეს თავიანთ საარჩევნო ოლქებში სკოლიდან განთესილ ბავშვთა სწავლებაში ჩასაბმელად და ეთხოვოს მათ შემდგომშიაც ადევნოს თვალყური სკოლის ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმას, სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას და ყოველმხრივ დაეხმარონ განათლების ორგანოებს — აღმოფხვრან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, განათლების ორგანოებთან ერთად, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მიიღონ ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც;

ა) განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად, ამასთან მტკიცე კონტროლი დააწესონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიაღწიონ იმას, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე ამთავრებდეს რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს და შემდგომ, საშუალო განათლების მისაღებად სწავლას აგრძელებდეს საშუალო სკოლის მე-9 კლასში, ტექნიკუმში ან პროფტექნიკურ სასწავლებლებში;

გ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანისათვის;

დ) შესაბამის საქინისტროებთან, უწყებებთან, წარმოების ხელმძღვანელობასთან ერთად გაუმჯობესონ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა. მომუშავე ახალგაზრდებს შეუქმნან ყოველგვარი პირობები საშუალო განათლების მისაღებად;

ე) მიიღონ ზომები შორს მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით უფასოდ სკოლაში წაყვანისა და სახლში მიყვანისათვის, მეტი ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატების უზრუნველყოფას მაგარი და რბილი ინვენტარით და ინტერნატში მცხოვრებ ბავშვთა კვების საქმის გაუმჯობესებას;

ვ) იზრუნონ რაიონში სამუშაოდ ჩასულ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გუმჯობესებისათვის და არ დაუშვან დარღვევები მთავრობის მიერ მათთვის დაწესებული შეღავათების განხორციელებაში.

ზ) საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები სისტემატურად განიხილონ სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მოსახლეობის კრებებსა და ყრილობებზე. ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა:

ა) დროულად დაამთავრონ ახალ სასკოლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლა, შეადგინონ და გამოსცენ სახელმძღვანელები, სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოთა კომპლექტები, რომლებშიც აისახება მეცნიერებისა და წარმოების თანამედროვე მიღწევათა დონე;

ბ) თანმიმდევრულად განაახლონ და გაამრავალფეროვნონ სწავლების მეთოდები, ეფექტურად გამოიყენონ სწავლების ტექნიკური საშუალებანი — კინო, რადიო და ტელევიზია; გაუმჯობესონ ფაკულტატური მეცადინეობის შინაარსი; მიიღონ ზომები მოსწავლეთა ზნეობრივი, ესთეტიკური, სამართლებრივი, სამხედრო-პატრიოტული და ათეისტური აღზრდისათვის;

გ) გაზარდონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის როლი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. განაზოგადონ დ გაავრცელონ სწავლების მოწინავე მეთოდები და გამოცდილებანი. გაუმჯობესონ ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოება-განმტკიცების, კაბინეტ-ლაბორატორიებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფისა და იმ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებების რაოდენობის გაზრდის საკითხები, როლებიც იძლევიან საშუალ. განათლებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 19 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

208 მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ უკანონოდ, გასინჯვისაგან ფარულად ან სხვა რაიმე ხერხით მსჯავრდებულთათვის ნივთების, კვების პროდუქტების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული სხვა ნივთიერებებისა და საგნების გადაცემისათვის ან გადაცემის მცდელობისათვის, თუ ეს ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, დამნაშავენი დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, ან მათ მიმართ მიღებული იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები.

2. მასალებს ბრძანებულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები დარღვევის ჩადენის ადგილის ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. ნივთები, კვების პროდუქტები, ფული, სპირტიანი სასმელები, სხვა ნივთიერებანი და საგნები, რომლებსაც მსჯავრდებულებს აღმოუჩენენ, ჩამოერთმევათ მათ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 41-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

209 სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 132-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცა დებულება „საქართველოს სსრ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 19 აპრილის დადგენილება „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხლი 118).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 19 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

210 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრებად დამტკიცდნენ: კონსტანტინე ერემიასი ძე **კეთილაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, იპოკრატე ამბროსის ძე **შევარდნაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლდნენ — ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე**, მიხეილ ესტატეს ძე **თოფურიძე** და ნათელა შალვას ასული **ვასაძე;**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

211 სახელმწიფო საზღვრის სარედემარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე სარედემარკაციო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ სახელმწიფო საზღვრის სარედემარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის წევრები:

1. პაველ კონსტანტინეს ძე **ერმოშინი** — სახელმწიფო საზღვრის სარედემარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე.

2. პეტრე სერგოს ძე **ივანოვი** — სახელმწიფო საზღვრის სარედემარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე.

3. ოთარ ილიას ძე **გიგინეიშვილი** — სახელმწიფო საზღვრის სარედემარკაციო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომისიის საბჭოთა დელეგაციის წევრი — ექსპერტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

212 ამხ. ა. მ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. არჩილ მიხეილის ძე **ბერიძე** დაჯლდოვიდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

213 ამხ. ე. მ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1903 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ამხ. ელისაბედ მიხეილის ასული ლეჟავა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 ამხ. ზ. ვ. ყარყარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ამხ. შალვა ვასილის ძე ყარყარაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 ამხ. ე. თ. შეწირულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ელენე თეოფილეს ასული შეწირული დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

216 ამხ. დ. ე. ჩიბურდანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი ამხ. დავით ერმალოს ძე **ჩიბურდანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაკაძე.

თბილისი, 1972 წლის 13 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

217 პროფესორ ვ. ა. მეჩიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ვლადიმერ არტემის ძე **მეჩიტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაკაძე.

თბილისი, 1972 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 ამხ. ი. ს. ყაჭიურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. ილია სიმონიშვილი **ეუბნოთ ყაჭიური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 ამხ. ვ. დ. ეპიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვასტანგ დიმიტრის ძე **ეპიტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 31 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 ამხ. მ. ძ. სიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამხ. მანანა ძიკის ასული **სიჭინავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 31 ოქტომბერი.

221 ამხ. ი. ა. ხარიტონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი ამხ. ილარიონ ალექსის ძე ხარიტონაშვილი დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვეჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 31 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წარდგინების შესაბამისად, 1972 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით გაუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 31 მარტის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება კარლო ალექსანდრეს ძე მარუაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭებას, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ბუნების დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და მრეწველობის მუდმივი კომისიების სხდომები.

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ციციშვილის მოხსენება რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების განაშენიანების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების გეგმიურად განაშენიანების საქმე, დამტკიცებულია თბილისის, გორის, რუსთავის, გურჯაანის განვითარების გენერალური გეგმები 1970-2000 წლისათვის. დამუშავებულია ბორჯომის, სამტრედიის, კასპის, მცხეთის, მესტიის, სურამის, ახმეტის და სხვა ქალაქებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბების გენერალური გეგმები. ქალაქების ახალი საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები შენდება დაგეგმარებისა და განაშენიანების დეტალური პროექტებით.

ამასთანავ ერთად აღინიშნა, რომ ქალაქებისა და დაბების განაშენიანების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

ხშირია შემთხვევები, როცა სამშენებლო ორგანიზაციები აშენებენ საცხოვრებელ სახლებს მოუმზადებელ ტერიტორიებზე, ვერტიკალური დაგეგმარებისა და კომუნიკაციების გაყვანის გარეშე, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს და აუარესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა, როგორც წესი, ჩამორჩება სანაცვლო მშენებლობას, ხშირად არ სრულდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გამწვანების უზრუნველსაყოფად, სპორტული და სანაგვო მოედნების მოსაწყობად.

ზოგიერთი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ქალაქების, დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გეგმიური განაშენიანების საკითხებს, იშვიათად იხილავს მათ თავიანთ სხდომებზე, არ ეფულობს გადამჭრელ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა დეპუტატ ვ. ხოდელის მოხსენება „რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 11 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა ვანის, მაიაკოვსკის რაიონებში და ჭიათურის საქალაქო საბჭოს სოფლებში“. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ რაიონებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის. კეთილმოეწყო მრავალი გზა და ქუჩა, გაშენდა სკვერები, აშენდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გაყვანილ იქნა წყალსადენები და სხვა.

ამასთან ერთად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 11 ივლისის დადგენილების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლოვანებას. ზოგიერთ სოფელში არ არის რადიოქსელი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ბევრგან არ არის აბანო, ზოგიერთი კოლმეურნეობა და ორგანიზაცია არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შეკეთების დარგში.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა — დეპუტატებმა: ვ. გოცირიძემ, თ. პოპიაშვილმა, ლ. კაზარიანმა და სხვებმა.

მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ესაკიამ.

კულტურის მუდმივმა კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება რესპუბლიკაში მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სოფლად, ფართოდ განვითარდა მხატვრული თვითმოქმედება, შე-

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექმნა მრავალი ახალი თვითმოქმედი კოლექტივი. გაიზარდა ჩატარებული საექ-ტაკლებისა და კონცერტების რაოდენობა, გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

ნაყოფიერად მუშაობენ ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო, თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, ქობულეთის, ორჯონიკიძის, ახალციხის, ადიგენის, გარდაბნის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, გალის და ონის სარაიონო კულტურის სახლებთან და ბევრ სასოფლო კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

მახარაძის, თელავის, გორის, ონის, ზესტაფონის, ახალციხის, ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, ამ რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოები სისტემატურად ინილავენ მხატვრული თვითმოქმედების მუშაობის საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

ამასთან ერთად კომისიაზე აღინიშნა, რომ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ზოგიერთ რაიონში მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობას არ აქვს სისტემატური ხასიათი (ქარელის, თეთრი წყაროს, მაიაკოვსკისა და გეგეჭკორის, ბორჯომის, ხაშურის და ცხინვალის რაიონები).

იშვიათად მართავენ წარმოდგენებს ხაშურის, ორჯონიკიძის და წულუკიძის სახალხო თეატრები.

საკლუბო დაწესებულებების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი მუსიკალური ინსტრუმენტებით, ქართული ხალხური საკრავებით, ტანსაცმელით სცენისათვის და სხვა საჭირო მასალით.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

ზოგიერთი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი იშვიათად იხილავს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და წრეების მუშაობის საკითხებს.

კომისიის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე დეპუტატ კ. ლორთქიფანიძის მოხსენება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ზუგდიდის, ბორჯომის, სიღნაღის, ხაშურის, მაიაკოვსკის და ქარელის რაიონებში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ზემოაღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადების შესახებ“, ჩაატარეს გარკვეული მუშაობა. მათ შეადგინეს კულტურულ-აღმზრდელობით ღონისძიებათა გეგმები, მოაწყვეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ორდღიანი სემინარები.

ამ რაიონების კულტურის სახლებში, კლუბებში და ბიბლიოთეკებში ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები ხალხთა მეგობრობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის თემებზე, ეწყობა შეხვედრები ძველ რევოლუციონერებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან, წარმოების მოწინავეებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო დაწესებულებები აწყობენ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებას, საღამო-კონცერტებს.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა, ბორჯომის, სიღნაღის და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა, რომლებიც ჩაბმული არიან მუზეუმების საკავშირო დათვალიერებაში, რაც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმია მაძღვნილი, მოაწყეს მოძრავი გამოფენები თემაზე „სსრ კავშირის 50 წელი“.

ამასთან, ზუგდიდის, ბორჯომის, სიღნაღის, ხაშურის, მაიაკოვსკისა და ქარელის რაიონების ზოგიერთ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებას კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობაში გააჩნია ნაკლოვანებები. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქარელის რაიონის ბრეთისა და ავლევის, ზუგდიდის რაიონის ანაკლიისა და დიდინეძის სასოფლო კლუბები, ნაკლებად ტარდება ლექცია-მოხსენებები, თემატური კითხვა-პასუხის საღამოები. კლუბების საქმიანობაში არ არის ჩაბმული სოფლის ინტელიგენცია, აქტივი.

ხაშურის რაიონის გომის, ჩუმათელეთის სასოფლო, სიღნაღის რაიონული და ნუკრიანის სასოფლო ბიბლიოთეკები შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, ხოლო ხაშურის რაიონის, ზოგიერთი სასოფლო ბიბლიოთეკა — კერძო პირებისაგან დაქირავებულ ბინებშია.

საკითხების განხილვის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: რ. ლაღიძე, ლ. რიქვაძე, ა. მექვაბიშვილი, მ. მამაიაშვილი, დ. ალეკსიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუპრავა, ამავე სამინისტროს სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი და სხვები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ქ. თბილისში ჩატარებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში მეტი ყურადღება ექცევა საწარმოო პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას.

1971-1972 წლებში ქ. თბილისში გაიხსნა ფეხსაცმლის სასწრაფო შეკეთების 3 მექანიზებული სახელოსნო, საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალდარგიან კომბინატ „პირიმზეში“ საექსპლოატაციოდ გადაეცა ტანსაცმლის სასწრაფო ქიმწმენდის ატელიე, ათვისებულია მხატვრული ნაციონალური სუვენირების დამზადების ახალი მეთოდები და სხვა.

უკანასკნელ ორ წელიწადში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოორგანიზაციებში დაინერგა 179 რაციონალიზატორული წინადადება.

ამასთან ერთად, ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვის და ეფექტურად გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი. სამმართველოს დაქვემდებარებაში მყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფი საწარმოები და ორგანიზაციები არ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილნი თანამედროვე ტიპის მანქანა-მოწყობილობებით. საკმარისად არ არიან დატვირთული ქიმიური წმენდის, სამრეცხაო, ფეხსაცმლის ინდკერვისა და შეკეთების ფაბრიკები, დაბალია მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

ტანსაცმლის ინდკერვისა და შეკეთების № 1 და № 2 ფაბრიკებში და მრავალდარგიან საწარმოთა გაერთიანების კომბინატებში ნელი ტემპით ინერგება ტანსაცმლის კერვის ბრიგადული მეთოდი.

ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მომსახურების სფეროში არსებული ახალი ფორმებისა და მეთოდების შესწავლას და დანერგვას.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: დ. სბაშვილი, ა. გონაშვილი, მ. კრაწაშვილი, ა. შადური, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე ნ. ნოდია და სხვები.

მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ ნ. ჟვანიამ.

ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ნატროშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1970 წლის 18 ივნისის დადგენილების — „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“ შესრულების მიმდინარეობა. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ბუნების დაცვის მდგომარეობა, გაძლიერდა ბრძოლა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ, ზრუნვა ტყეების დასაცავად და სასარგებლო ფაუნის მოსამრავლებლად. გარკვეული ღონისძიებები გატარდა შავი ზღვის სანაპიროს და რესპუბლიკის მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაბინძურებისაგან დასაცავად.

ბოლო წლების მანძილზე აშენდა 37 საწმენდი ნაგებობა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თაოსნობით და მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მთელი საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით გაძლიერდა ბრძოლა ბუნებრივ სიმდიდრეთა დასაცავად, ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში გაშენდა ტყე-პარკები, ბაღები, გამწვანდა გზები და მაგისტრალები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ბუნების სიმდიდრეთა დაცვის და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

მინდორსაცავ ტყის ზოლებსა და გატყევებულ ეროზირებულ ფართობებზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებლად ჩატარების გამო არ გაიხარა და დაიღუპა ბევრი ნარგავი, ამის გამო ჩამორიცხა და ჩამოინგრა რიგ. ახლად მოწყობილი ტერასა.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უხეშად არღვევს რწყვის წესებს, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია შავი ზღვის სანაპიროს და რესპუბლიკის მდინარეებზე ტბებისა და წყალსაცავების გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის და წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის საქმეში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში და ქიმკომბინატში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მდინარეებში შხამქიმიკატების და ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენების შემთხვევები.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. კუბავას მოხსენიება საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ტყის გაშენების დარგში აღებულ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაირგო 27,3 მილიონი ძირი ხე, რაც წლიური ვალდებულების 67 პროცენტს შეადგენს. ახალი ტყეები შეიქმნა 4.599 ჰექტარზე, მათ შორის. სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებზე — 2.826 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეროზიერებულ ფართობებზე — 1.773 ჰექტარი.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იხილავენ ტყის გაშენების საქმეში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობას და სატყეო მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს, სახავენ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამასთან, ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლოვანებას. არის შემთხვევები, როცა რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ეზრუნველყოფენ სატყეო მეურნეობებს საჭირო რაოდენობის მუშახელით. აღნიშნულის გამო რიგ რაიონში (ასპის, გორის, ქარელის, მაიაკოვსკის) არ სრულდება ტყის კულტურების მოვლის გეგმები.

ჯერ კიდევ დაბალია მექანიზმების გამოყენების დონე (ლანჩხუთის, გორის, გეგეჭკორის, ახალქალაქის სატყეო მეურნეობები).

სატყეო და სასახელმწიფო სანერგე მეურნეობები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ნერგებზე მოთხოვნილებას.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: გ. ბესაევი, ვ. თოდუა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ზ. ჯაფარიძე, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ჭ. ბიძინაშვილი, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. მემარნეშვილი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამმართველოს უფროსი ვ. ბადაშვილი, შავი ზღვის თევზის მარაგის დაცვის და თევზის ჭერის რეგულირების სამმართველოს უფროსი ს. ცინცაძე და სხვები.

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სუბუქი მრეწველობის მინისტრის გ. გამცემლიძის მოხსენება — მოზარდთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოზარდთა და ახალგაზრდა მუშების შრომის, სწავლისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, საწარმოთა ადმინისტრაცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად იღებს ზომებს, რომ არასრულწლოვანთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა, მათი მუშაობის რეჟიმი და სამუშაო შეესაბამებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მოზარდი მუშების უმრავლესობა ჩაბმულია კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმაში, თვითმოქმედ წრეებსა და სპორტულ სექციებში, მონაწილეობას იღებს კულტმასობრივ ღონისძიებებში.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სართავ-სატრიკოტაჟო და მაუდ-კამვოლის კომბინატებში, ქუთაისის № 1 სამკერვალო საწარმოო გაერთიანებასა და სხვა საწარმოებში მოზარდ მუშებს ულოცავენ ხოლმე კოლექტივში მიღებას, დაბადების დღეს, პირველი ხელფასის მიღებას, აწყობენ კომკავშირულ ქორწილებს და სხვ. იმართება საზოგადოებრივი დათვალიერებები ახალგაზრდა მუშების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების საკითხებზე, ორი ათასამდე ახალგაზრდა სწავლობს უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში, ასობით ახალგაზრდა მუშა იღებს საშუალო განათლებას მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მოზარდთა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის საქმეში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებს აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში" მოზარდები მუშაობენ მთლიანი სამუშაო დღის განმავლობაში. ანალოგიური შემთხვევებია თბილისის № 1 სამკერვალო და № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, ხაშურის საფეიქროსაგალანტერიო ფაბრიკაში.

გორის ბამბეულის კომბინატსა და სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში იყო შემთხვევები, როცა ახალგაზრდა მუშებს არ იყენებდნენ სპეციალობის მიხედვით და სამუშაოზე იღებდნენ წინასწარი სამედიცინო შემოწმების გარეშე, თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის ზოგიერთი მოზარდი მუშის მიმართ დარღვეული იქნა შვებულების ხანგრძლივობის დაწესებული დრო.

მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია მოზარდი მუშების დენადობა (თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, ფაბრიკები „საქტრიკოტაჟი" და „ისანი").

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პროფტექნიკური სასწავლებლებიდან წარმოებაში გაგზავნილი ახალგაზრდა მუშების შენარჩუნების საქმეში. სუსტია რეაგირება შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, არ ზრუნავენ სამუშაოს შემდეგ მოზარდთა დასვენების ორგანიზაციისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ეკიდებიან შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას. ხოლო შესაბამისი პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები სუსტად იყენებენ მათთვის კა-

ნონით მინიჭებულ უფლებებს, არ იჩენენ პრინციპულობას და საჭირო მომზადებულობას ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

მთელი რიგი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები ჯეროვან ინტერესს არ იჩენენ მათ ტერიტორიაზე არსებულ წარმოება-დაწესებულებებში მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები შ. ყარყარაშვილი, ნ. ჩხოლარია, ნ. ვასაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ჯანჯღავა, ა. წივწივაძე.

მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ო. ჩერქეზიამ.

მრეწველობის მუდმივმა კომისიამ განიხილა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გაზიფიკაციის მდგომარეობის საკითხი. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება გაზიფიკაციისათვის. მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში გაზიფიცირებულია 720,4 ათასი ბინა, მათ შორის ბუნებრივი გაზით — 208,3 ათასი. ამჟამად რესპუბლიკაში გაზით სარგებლობს მოსახლეობის 60.9 პროცენტი.

ბუნებრივი და თხევადი გაზით მომსახურება ამჟამად წარმოებს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბებში და 2.714 სოფელში.

მიმდინარეობს ბორი-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ 1972-1973 წლებში ბუნებრივ გაზს მიიღებს აგარა, ხაშური, ბორჯომი, ჭიათურა, ზესტაფონი, ქუთაისი და წყალტუბო. გაგრძელდება მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა ქუთაისიდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ.

ამასთან ერთად მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გაზიფიცირების საქმეში არის ნაკლოვანებები, განსაკუთრებით გაზის მოწყობილობის ტექნიკური შემოწმების, მომსახურების და პროფილაქტიკის საქმეში, რაც გამოწვეულია სათადარიგო ნაწილების ნაკლებობით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ტრანსპორტი მოსახლეობის თხევადი გაზით მომარაგებისათვის, ტრანსპორტის ნაკლებობა ხელს უშლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმების შესრულებას, ხოლო საავარიო სამსახურები განიცდიან მექანიზმების და დაზგების ნაკლებობას.

გაზის განმანაწილებელი სადგურები, ხშირად, არასტაბილური წნევით აწვდიან ბუნებრივ გაზს სამრეწველო ობიექტებს, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოთა მუშაობის რეჟიმზე (ქ. რუსთავის და გარდაბნის საწარმოები). რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მიწისქვეშა ქსელები. არის შემთხვევები, როცა მშენებლები აზიანებენ მოქმედ გაზსადენს.

სსრ კავშირის გაზის სამინისტროს თბილისისა და სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნების, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ლითონკონსტრუქციების და ცხინვალის მექანიკური ქარხნების მიერ გამოშვებული აპარატების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები გ. Ყულაია, კ. ქრისტესაშვილი, ჯ. გოცირიძე და სხვები.

ᲫᲣᲚᲐᲛᲐᲖᲐ ᲔᲝᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ კომისიის თავმჯდომარემ Ხ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.

* * *

მუდმივმა კომისიებმა განხილული საკითხების გამო მიიღეს სათანადო დადგენილებები.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 აგვისტოს ᲞᲠᲘᲫᲐᲜᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის medlით“ დაჯილდოდა 556 მოვალეშვილიანი დედა, ძაა. შორის:

ქ. თბილისიდან		4
ქ. ფოთიდაან		2
ქ. რუსთავიდან		2
ადიგენის	რაიონიდან	4
ბოგდანოვკის	„	7
ბოლნისის	„	43
ბორჯომის	„	7
გარდაბნის	„	155
გეგეჭკორის	„	12
გორის	„	20
გურჯაანის	„	2
დუშეთის	„	5
ზუგდიდის	„	10
თელავის	„	9
თიანეთის	„	1
კასპის	„	25
ლაგოდეხის	„	12
მარნეულის	„	34
მახარაძის	„	12
ორჯონიკიძის	„	6
საგარეჯოს	„	64
საჩხერის	„	6
ყვარლის	„	16
ჩოხატაურის	„	6
ჩხოროწყუს	„	16
წითელწყაროს	„	5
წულუკიძის	„	6
წყალტუბოს	„	20
ხობის	„	12